

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი

მუხლი 1.

წინამდებარე წესი განსაზღვრავს “ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი“ სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესს.

მუხლი 2.

1. აკადემიური პერსონალის შემადგენლობას განეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.

2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესს.

3. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ შესაბამისად. არჩეული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით.

4. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და სრულყოფილად წარმართვისათვის უნივერსიტეტი პროფესიული ნიშნით არჩევს და დებს შრომით ხელშეკრულებას მოწვეულ პერსონალთან საათობრივი ანაზღაურების წესით „მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად, სადაც შესრულებული ერთი საათის ანაზღაურების სახელფასო ტარიფი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით (შესრულებული საათების რაოდენობა აისახება ანაზღაურების დამადასტურებელ განაცხადში, ნიმუში - დანართი 2), ან უნივერსიტეტი დებს შრომით ხელშეკრულებას მოწვეულ პერსონალთან, სრულ შტატზე, შესრულებული საათების რაოდენობისაგან დამოუკიდებლად, სადაც სახელფასო ტარიფი განისაზღვრება პარტნიორთა კრებასთან შეთანხმებით და რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით;

მუხლი 3.

1. უნივერსიტეტში სალექციო, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაოს და კურსაციის ერთი სააუდიტორიო მეცადინეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 50 წუთით, მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთია.

2. ლაბორატორიული და ჯგუფში მუშაობისას ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 სტუდენტს, ხოლო სალექციო ჯგუფში - 70 სტუდენტს.

3. ამ მუხლიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ პარტნიორთა კრების თანხმობით და რექტორის ბრძანებით, თუ სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია შესაბამისი რაოდენობის ჯგუფების შექმნა.

მუხლი 4.

1. აკადემიური პერსონალის სამტატო აკადემიური დატვირთვა განისაზღვრება:

ა) სალექციო აუდიტორიებში, ლაბორატორიებსა და კლინიკურ ბაზებზე ჩასატარებელ მეცადინეობებზე დათმობილი (სააუდიტორო-საკონტაქტო) საათებით;

ბ) კონსულტაციაზე (კვირაში ერთხელ 1 სთ)/წინასაგამოცდო (2 სთ) კონსულტაციაზე დათმობილი საათებით;

2. აკადემიური პერსონალის სამტატო ვალდებულება, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმისა, მოიცავს შემდეგს:

ა) საგამოცდო საკითხების, ტესტების და ბილეთების შედგენა, რეგულარული განახლება;

ბ) სტუდენტთა შეფასების პროცესში მონაწილეობა და საგამოცდო ნაშრომების გასწორება;

გ) საგამოცდო პერიოდში გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი;

დ) სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება;

ე) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოება;

ვ) სამეცნიერო და სხვა სახის კონფერენციებში, სემინარებში, ვორკშოპებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობა;

ზ) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

თ) სტუდენტთა სასწავლო რესურსების მომზადება და ბიბლიოთეკაში განთავსება;

ი) ჯგუფის კურატორობა;

კ) უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა;

ლ) უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

მ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა.

3. აკადემიური პერსონალის დატვირთვა აისახება დატვირთვის ბლანკში (ნიმუში, დანართი 3);

მუხლი 5.

1. სააუდიტორო მეცადინეობების ხანგრძლივობა სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 32 (პირველი სემესტრი 15 კვირა, მეორე სემესტრი 17 კვირას).

2. აკადემიური პერსონალის სააუდიტორო დატვირთვა ერთ განაკვეთზე, სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს:

- პროფესორისათვის არანაკლებ 270 საათს (საშუალოდ 8 სთ კვირაში);
- ასოცირებული პროფესორისათვის არანაკლებ 300 საათს (საშუალოდ 9 სთ კვირაში);
- ასისტენტ პროფესორისათვის არანაკლებ 330 საათს (საშუალოდ 10 სთ კვირაში).

3. ამ მუხლით განსაზღვრული დატვირთვის გარდა, იმ შემთხვევაში თუ აკადემიური პერსონალის მოწვევა აუცილებელი ხდება დამატებით საათებზე, აკადემიური

პერსონალის დამატებითი დატვირთვის ოდენობა განისაზღვროს საშტატო ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის ნახევრით.

მუხლი 6.

1. აკადემიურ პერსონალს დატვირთვით განსაზღვრული საათების გაცდენის და მათი არ აღდგენის შემთხვევაში, გაცდენილი საათების ანაზღაურება დაექვეთებათ პროპორციულად ანაზღაურებიდან.
2. წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, დატვირთვით განსაზღვრული გაცდენილი საათები ექვემდებარება აღდგენას ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადებში.
3. მოწვეულ პერსონალს შეუსრულებელი საათები არ აუნაზღაურდება.
4. თუ სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგი შეასრულებს წინასწარ დაუგეგმავ, მაგრამ საგანმანათლებლო პროცესით განსაზღვრულ სამუშაოს, როგორებიცაა, FX-კატეგორიით შეფასებული სტუდენტების დამატებითი გამოცდის ჩატარება, გამოცდების ჩატარება მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების კრედიტების აღიარებისათვის, მაგისტრატურის მისაღები გამოცდების კომისიის წევრობა და ა.შ, რაც ჩაეთვლება არასააუდიტორიო დატვირთვის საათებში.

მუხლი 7. ამოღებულია

მუხლი 8.

1. კონტროლი წესის შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ფაკულტეტს;
2. წესი ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი, ბათუმი
BAU International University, Batumi
ანაზღაურების დამადასტურებელი განაცხადი
Payment Confirmation Request**

ბაუ-ბათუმის რექტორის 201___წლის _____ № _____
ბრძანებისა In According to the BAU Batumi Rector’s Order
და შრომითი ხელშეკრულებით (№ _____, თარიღი _____)
and Labour Agreement dated
მოწვეულმა პედაგოგმა/აკად.პერსონალმა სამედიცინო ფაკულტეტზე მთლიანად
საათობრივი დატვირთვის ფარგლებში ჩაატარა:
the invited teacher/academic personnel completed the teaching hours on the Faculty of
“Medicine”

წლის (Year) _____ თვეში (month) :

№	თვე, რიცხვი Date	საგანმანათლებლო პროგრამა Education Program	სასწავლო კურსის დასახელება Title of Learning Course	საკონტაქტო საათები Contact Hours
საათების ჯამი: Total Hours:				

გთხოვთ დაგვიდასტუროთ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.
Please confirm the financial compensation for completed teaching hours.
მოწვეული პედაგოგი/ პროფესორი/ ასოც.პროფესორი/ასისტ.პროფესორი
The invited teacher/professor/Assoc.Professor/Assist.Professor
„ვეთანხმები“
“Agreed”
ფაკულტეტის დეკანი
Dean of Faculty

საათების ჯამი: Total hours:	ერთი საათის ტარიფი one hour cost	ხელზე გასაცემი ფულადი თანხა Salary (Netto) (GEL)	შენიშვნა Notes

საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი
Head of Financial, Economical and Material Resources Service

ადმინისტრაციის უფროსი
Head of Administration

«_____» _____ 201 წ

ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
დატვირთვა (----- სასწავლო წელი)

ფაკულტეტი:	
პროგრამა:	
დეპარტამენტი:	
პედაგოგის სახელი, გვარი:	
სამეცნიერო (აკად.) ხარისხი:	
სტატუსი	

# / #	სასწავლო კურსის დასახელება		სტატუსი	სტუდ. რაიდენობა	დატვირთვა (საათი)																			
					სტუდენტის რაიდენობა	საშემოდგომო სემესტრი						საგაზაფხულო სემესტრი						წლიური დატვირთვა						სულ საათების რაოდენობა
						წაკლა	ლექცია	კონსულტირება	პრაქტიკა	ლაბორ.	სულ	ლექცია	კონსულტირება	პრაქტიკა	ლაბორ.	სულ	სააუდიტ.	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	კონსულტირება	პრაქტიკა	კონსულტირება		
																							განმედი	
1																								
2																								
3																								
4																								
5																								
6																								
7																								
სულ:																								

დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ფაკულტეტის დეკანი:

პედაგოგი: